

(სსმ 07.08.2006 N 104 მუხ. 1412

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
340.170.000.22.032.009.052

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N 2-147

2006 წლის 7 აგვისტო ქ. თბილისი

ნიმუშის ალების წესის დამტკიცების შესახებ

“სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, 21-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და 31-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ნიმუში ალების თანდართული წესი დანართებთან (N1,2,3) ერთად.

2. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (შ. ლორთქიფანიძე) უზრუნველყოს “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად ბრძანების სახელმწიფო რეესტრში გაგარება და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნება.

3. კონკრული ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს მინისტრის პირველმა მოადგილემ ლილი ბეგიაშვილმა.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. სვიმონიშვილი

ნიმუშის ალების წესი

მუხლი 1.

1. წესი ადგენს ზოგად მოთხოვნებს სურსათის, ცხოველის საკვების, ასევე მათთან შეხებაში მყოფი მასალის ან სხვა ნაწარმის (შემდგომში სურსათი/ცხოველის საკვები) ნიმუშების ალებისა და დასახელებული ლაბორატორიისათვის (შემდგომში - ლაბორატორია) გადაცემისადმი და მოიცავს ამ საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილი მოხელის მოქმედების წესს.

2. ამ წესის მიზანს წარმოადგენს:

ა) ნიმუშების ალების ორგანიზაციისა და სქემის დადგენა;

ბ) უფლებამოსილი მოხელის კომპეტენციისა და ვალდებულებების დადგენა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს აღნიშნულ საქმიანობას.

მუხლი 2.

1. ნიმუშების აღება და ლაბორატორიული გამოცდის ჩატარება წარმოებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობასა და ხარისხზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას და წარმოადგენს ერთ-ერთ ქმედებას, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს სახელმწიფო კონტროლისას გათვალისწინებულ სხვა ქმედებებთან ერთად ან დამოუკიდებლად.

2. სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ნიმუშების აღებასა და ლაბორატორიისათვის გადაცემას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამსახურების (შემდგომში – სამსახური) უფლებამოსილი მოხელე.

3. უფლებამოსილი მოხელის მიერ კონკრეტულ ობიექტზე ნიმუშის აღებისას ობიექტის ან სურსათის/ცხოველის საკვების მფლობელმა (მწარმოებელმა/დისტრიბუტორმა), ასევე ამ ობიექტის ნებისმიერმა თანამშრომელმა უნდა ითანამშრომლოს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ პირთან და დახმარება აღმოუჩინოს მას ამ წესით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებისას.

4. ნიმუშების აღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესაბამისი ნორმატიული აქტები და დოკუმენტები, რომლითაც განსაზღვრულია მოთხოვნები საგამოცდო სურსათის/ცხოველის საკვების ნიმუშების აღებისადმი.

5. ნიმუშების აღების პროცედურა მოიცავს: სურსათის/ცხოველის საკვების იდენტიფიცირებას, მოცემულ ობიექტზე არსებული პარტიის იდენტიფიცირებასა და მისი რაოდენობის დადგენას ან/და გარკვეული ფაქტორით (გრანსპორტირების, რეალიზაციისა და შენახვის პირობები, დათვალიერებით გამოვლენილი დეფექტები და სხვა) ერთგვაროვანი პროდუქციის იდენტიფიცირებას, კონკრეტული დასახელების საგამოცდო სურსათის/ცხოველის საკვებისთვის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილი რაოდენობითა და წესით ნიმუშების აღებას (საჭიროების შემთხვევაში, წერტილოვანი ნიმუშების რიცხვის დადგენასა და მათგან საშუალო ნიმუშის ფორმირებას), ნიმუშების აღების/შერჩევის პროცესს, მის შეფუთვას, დალუქვასა და ნიმუშის აღების აქტის გაფორმებას ამ წესით დადგენილი ფორმით.

მუხლი 3.

სარეალიზაციო ქსელში (საცალო ვაჭრობის ქსელებში) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობასა და ხარისხზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ნიმუშების აღებისა და ლაბორატორიული გამოცდის ხარჯებს გაიღებს დამკვეთი (სამსახური).

მუხლი 4.

1. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ნიმუშის აღება წარმოებს:

ა) კონკრეტული სურსათისა და ცხოველის საკვებისთვის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილი უსაფრთხოების მაჩვენებლების - ორგანოლეპტიკური, მიკრობიოლოგიური, ვირუსოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ბაქტერიოლოგიური, ბიოლოგიური, ცოქსიკოლოგიური, მიკოლოგიური, მიკროსკოპული, ფიზიკური, ქიმიური, ფიზიკურ-ქიმიური, ბიოქიმიური, რადიოქიმიური, რადიომეტრიული და სხვა მაჩვენებლების გამოკვლევის მიზნით, რათა განისაზღვროს სურსათის/ცხოველის საკვების საკვებად გამოყენების შემთხვევაში ადამიანისა და

ცხოველის ჯანმრთელობისათვის სურსათის/ცხოველის საკვების უსაფრთხოება ან მათი გამოყენებით განპირობებული საფრთხე;

ბ) სურსათის/ცხოველის საკვების ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოკვლევის მიზნით, რათა სურსათის/ცხოველის საკვების ფალსიფიცირების გამოვლენის შემთხვევაში მოხდეს მომხმარებლის ეკონომიკური ინტერესების დაცვა.

2. ლაბორატორიული გამოცდის საფუძველზე სამსახურის მიერ ღვინვების სურსათის/ცხოველის საკვების თავდაპირველი დანიშნულებით გამოყენების, რეალიზაციის, შენახვის, უგილიზაციისა და განადგურების პირობები.

3. ნიმუშის აღებისას კონკრეტული ამოცანები განისაზღვრება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში და გამომდინარეობს უფლებამოსილი ორგანოს წინაშე წამოჭრილი და დასმული საკითხების, საკვები პროდუქციის თანხმობის დოკუმენტაციის წინასწარი გაცნობის, წარმოების სანიტარულ-ჰიგიენური, ვეტერინარულ-სანიტარული და ფიტოსანიტარული მდგომარეობის შემოწმების შედეგებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

მუხლი 5.

1. სასამართლოს დადგენილების საფუძველზე არაგეგმიური კონტროლის განხორციელებისას ნიმუშების აღება სამსახურის ინიციატივით გარდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მოსახლეობასა და ცხოველებში კვებითი მოშამვების ან საკვებით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების ან სხვა მასიური დაავადებების აღმოცენებისას;

ბ) სურსათის/ცხოველის საკვების ბაქტერიული, ქიმიური ან ფიზიკური დაზიანებების შემთხვევაში;

გ) სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების, გრანსპორტირების, შენახვისა და რეალიზაციის სანიტარულ-ჰიგიენური, სანიტარულ-ვეტერინარული და ფიტოსანიტარული მოთხოვნების დარღვევისას;

დ) სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტირების ნორმატიულ დოკუმენტებთან შეუსაბამობისას ან სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტზე მითითებულ დასახელებასთან სურსათის/ცხოველის საკვების შეუსაბამობისას.

2. სურსათის/ცხოველის საკვების ნიმუშის აღება და ლაბორატორიული გამოცდა ასევე გარდება სახელმწიფო მაკონტროლებელი ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს, ასევე მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციებისა და მომხმარებლების დასაბუთებული მომართვის საფუძველზე.

მუხლი 6.

1. ლაბორატორიისთვის ნიმუშის გადაცემა შეიძლება არ მოხდეს, როდესაც სურსათის/ცხოველის საკვების ორგანოლეპტიკური შეფასებისას დადგენილი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით გამოვლინდება ამ სურსათის/ცხოველის საკვების გაუჭების აშკარა ნიშნები (მძაფრი და არასასიამოვნო სუნი, კონსისტენციისა და ფერის შეცვლა, ობით ღრმა და მნიშვნელოვანი დაზიანება და სხვა) და სურსათის/ცხოველის საკვები ადამიანისათვის/ცხოველისათვის საკვებად მიჩნეული იქნება უვარგისად, სამსახურის უფლებამოსილი მოხელის მიერ. აღნიშნულ შემთხვევაში ფორმდება სურსათის/ცხოველის საკვების ორგანოლეპტიკური შეფასების აქტი (დანართი N3), ამ სურსათის/ცხოველის საკვების ადამიანთა და ცხოველთა საკვებად უვარგისობის მიზეზების დასაბუთებით. აქტს უნდა ეთანხმებოდეს

სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი/დისტრიბუტორი, რასაც იგი აქტზე ხელმოწერით ადასტურებს.

2. ორგანოლეპტიკური შეფასების აქტის საფუძველზე სურსათის/ცხოველის საკვების განადგურებას ახორციელებს მწარმოებელი/დისტრიბუტორი.

3. ადგილზე დათვალიერებისა და ორგანოლეპტიკური შეფასების საფუძველზე ამ სურსათის/ცხოველის საკვების ნიმუშს შეიძლება ჩაუტარდეს ლაბორატორიული გამოკვლევა, თუ დათვალიერებამ და ორგანოლეპტიკურმა შეფასებამ გამოიწვია ამრთა სხვადასხვაობა და ამას მოითხოვს სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი/დისტრიბუტორი. თუ ლაბორატორიული გამოცდის შედეგად დადასტურდება სურსათის/ცხოველის საკვების ადამიანთა/ცხოველთა საკვებად უვარგისად მიჩნევის ფაქტი ლაბორატორიული გამოცდის ხარჯებს გაიღებს აღნიშნული სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი/დისტრიბუტორი.

მუხლი 7.

1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობისა და ხარისხის შეფასების მიზნით ნიმუშის აღებისას ღებუა ნიმუშის აღების აქტი (დანართი N1).

2. აქტის საფუძველზე სამსახური აღგენს მიმართვას (დანართი N2) და ნიმუშს გამოცდისათვის უგზავნის ლაბორატორიას. მიმართვაში მიეთითება გამოკვლევის კონკრეტული მიზანი ან/და მაჩვენებელი, რომლის განსაზღვრა სავალდებულოა ლაბორატორიული გამოცდისას. იკრძალება მიმართვაში მწარმოებლის/დისტრიბუტორის ვინაობის მითითება.

3. კვებით ინფექციასა და ინტოქსიკაციაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევის კონკრეტული მიზანი ან/და მაჩვენებელი უნდა განისაზღვროს ეპიდემიური და ეპიზოოტიური მონაცემებისა და დაავადების კლინიკური სურათის გათვალისწინებით.

მუხლი 8.

1. ბაქტერიოლოგიური ან მიკრობიოლოგიური გამოკვლევისათვის განკუთვნილი ნიმუში უნდა იქნეს აღებული სტერილურად და მოთავსდეს სტერილურ ტარაში ან გაიგზავნოს ლაბორატორიაში თავისი შეფუთვით. ლაბორატორიისათვის გადაცემამდე აუცილებელია ნიმუშის შენახვის სათანადო პირობებისა და ვადების დაცვა.

2. ნიმუში უნდა შეიფუთოს სუფთა, სითხეგაუმტარ, ჰერმეტიკულად დახურულ ჭურჭელში/მასალაში ნიმუშის თვისებების შენარჩუნების გათვალისწინებით და მოხდეს მისი დალუქვა. ლუქის ან/და შეფუთვის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში, ნიმუში მიიჩნევა უვარგისად. ნიმუშის დალუქვისას, მწარმოებლის/დისტრიბუტორის მოთხოვნის საფუძველზე დასაშვებია ნიმუშის შეფუთვაზე დაგანილ იქნეს მისი ბეჭედი ან ხელმოწერა.

3. აქტის გაფორმება ხდება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომლის ერთ-ერთი ეგზემპლარი რჩება იმ ობიექტზე, სადაც წარმოებდა ნიმუშის აღება, მეორე – რჩება ნიმუშის ამღებ უფლებამოსილ მოხელესთან. აქტის ორივე ეგზემპლარის ნომერი უნდა იყოს ერთმანეთის იდენტური.

4. ნიმუშის აღება ხდება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი იგზავნება ლაბორატორიაში, ხოლო მეორე – რეფერენტული ნიმუშის სახით ინახება სამსახურში (რეფერენტულ ნიმუშზე მიეთითება დასახელება, წონა, მოცულობა, შეფუთვაზე ასევე ხელი მოეწერება სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებლის/დისტრიბუტორის ან

სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ), განსაკუთრებით მალეუჭად პროდუქციაზე რეფერენცული ნიმუში შენახვისათვის არ აიღება.

5. მწარმოებლის/დისტრიბუტორის მოთხოვნის შემთხვევაში, ნიმუში შესაძლებელია აღებულ იქნეს სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი _ რჩება მწარმოებელთან/დისტრიბუტორთან. ასეთ შემთხვევაში, ნიმუშის მესამე ეგზემპლარის შესყიდვა სამსახურის მიერ არ ხორციელდება.

6. სამსახურის მიერ რეფერენცული ნიმუში ინახება სათანადო პირობებში, მეწარმისათვის/დისტრიბუტორისათვის შედეგებისა და დასკვნის მიწოდებიდან ორი კვირის განმავლობაში, თუ სურსათის/ცხოველის საკვების შენახვის ვადა აღნიშნულ ვადას არ სცილდება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ რეფერენცული ნიმუში ნადგურდება მავნებელი სურსათის განადგურების წესის შესაბამისად, თუ იგი მიიჩნევა მავნელ, მაგრამ არ საჭიროებს რეფერენცულ გამოცდას.

დანართი 1

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური

ნიმუშის აღების აქტი N ...

სამსახურის ტერიტორიულ-სტრუქტურული ერთეული: -----

(დასახელება)

(მისამართი, ტელეფონი, ფაქსი)

ნიმუშის აღების მიზანი _ სახელმწიფო კონტროლი:

(გეგმიური, არაგეგმიური)

ნიმუშის აღების კონკრეტული მიზანი: -----

(უვნებლობა ან/და ხარისხი)

სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი/დისტრიბუტორი ან მისი წარმომადგენელი -----

(სახელი, გვარი, თანამდებობა, მისამართი, ტელეფონი)

ნიმუშის აღების თარიღი და დრო “---- “ ----- “ -----“

(რიცხვი) (თვე) (წელი)

----- სთ/წთ

N	სურსათის/ცხოველის საკვების დასახელება, აღწერა (სახე, შენახვის პირობები, დამზადების თარიღი, ვარგისიანობის ვადა)	ნიმუშის რაოდენობა (ცალი/წონა)	საცალო ფასი	ნორმატიული დოკუმენტის დასახელება, რომლის მიხედვითაც განხორციელდა ნიმუშის აღება	სურსათის/ცხოველის საკვების თანხლები დოკუმენტი	შენიშვნა

ნიმუში გაგზავნილია -----

(ლაბორატორიის დასახელება)

ნიმუში აიღო -----

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

მეწარმე/დისტრიბუტორი (ან მისი წარმომადგენელი) -----

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად

დანართი N2

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური

სამსახურის ტერიტორიულ-სტრუქტურული ერთეული: -----

(დასახელება)

(მისამართი, ტელეფონი, ფაქსი)

მიმართვა N

ნიმუშის ლაბორატორიულ გამოცდაზე

ლაბორატორიის დასახელება, სადაც იგზავნება ნიმუში -----

ნიმუშის დასახელება, რაოდენობა -----

ნიმუშის გარა, შეფუთვა, მარკირება -----

ნიმუშის აღების თარიღი და დრო (სთ, წთ)-----

ლოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც განხორციელდა ნიმუშის აღება-----

გამოსაკვლევი მაჩვენებლის/ების დასახელება -----

ნიმუშის ლაბორატორიაში შესვლის თარიღი, დრო (საათი, წუთი) -----

ნიმუშის მიმღების თანამდებობა, გვარი, ხელმოწერა -----

ნიმუში ლაბორატორიას გადასცა

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

(ხელმოწერა)

დანართი N3

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური

ორგანოლეპტიკური შეფასების
აქტი N

შეფასების ადგილი, თარიღი და დრო _____

უფლებამოსილი მოხელე _____
(თანამდებობა, სახელი და გვარი)

მეწარმე/დისკრიბუტორის დასახელება _____
(მისამართი, ხელმძღვანელის გვარი, სახელი და სხვა რეკვიზიტები)

დამსწრე პირი/ები _____
(სახელი, გვარი, მისამართი, პირადობის მოწმობის N)

სურსათის დასახელება, რაოდენობა _____

ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები (ფერი, სუნი, გემო, კონსისტენცია) _____

მწარმოებელი/დისკრიბუტორის ხელმოწერა _____

დამსწრე პირის ხელმოწერა/ები _____

უფლებამოსილი მოხელის ხელმოწერა _____